ქ.ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N14 საცხოვრებელი სახლის
N40 ბინაზე, მოქალაქეებისათვის დავით ონიანისა და ნინო ხაბეიშვილისათვის
საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქ.ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ქ.ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N14 საცხოვრებელი სახლის N40 ბინაში მცხოვრები მოქალაქეების დავით ონიანისა და ნინო ხაბეიშვილის წარმომადგენლის მაგული ბრეგვაძის განცხადება /2012 წ. 25.05 Nბ–4197/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N14 საცხოვრებელი სახლის N40 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქ.ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N14 საცხოვრებელი სახლის N40 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოთ მოქალაქეებს დავით ონიანსა და ნინო ხაბეიშვილს.

2. ქ.ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/ ქ.ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N14 საცხოვრებელი სახლის N40 ბინაზე /საერთო ფართობი 46,14 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობი 31,36 კვ.მ. დამხმარე ფართობი 14,78 კვ.მ./, მოქალაქეების დავით ონიანისა და ნინო ხაბეიშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი                                        გ.თევდორაძე